Research

jobs.ge

დასაქმების თრექერი
საქართველო

ოქტომბერი 2025

ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს

- **2025 წლის ოქტომბერში ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 1,004,706 შეადგინა***, რაც 2025 წლის სექტემბერთან შედარებით 1.9%-ით, ხოლო 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, 2.6%-ით მეტი იყო.

- **2025 წლის ოქტომბერში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 600 ლარამდე თვიურ ხელფასს, 12.3%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის სექტემბერთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, 2.5 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

- **2025 წლის ოქტომბერში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 34.3%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის სექტემბერთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით, 5.0 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

- **2025 წლის ოქტომბერში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 3.2%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის სექტემბერთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

გრაფიკი 1: ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, სახელფასო კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი 2: ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, მათი ზრდა და წილი სახელფასო კატეგორიების მიხედვით



* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით შეიცვალოს (ბოლოს განახლდა 20.11.2025; მონაცემები წარმოადგენს დარიცხულ ხელფასს).

** 2400+ ლარის მიმღებ პირთა დაფიქსირებული დიდი წილი 2024 წლის დეკემბერში სავარაუდოდ გამოწვეული იყო მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

წყარო: შემოსავლების სამსახური

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა

2025 წლის ოქტომბერში jobs.ge-ზე 7,667 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც 2025 წლის სექტემბერთან შედარებით 12.2%-ით, ხოლო 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით 2.1%-ით ნაკლებია. თვიურ ჭრილში, ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა გაყიდვებსა და შესყიდვებში (-17.9%), ხოლო ყველაზე დიდი ზრდა - ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და პროგრამირებაში (+5.0%). წლიურ ჭრილში, ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა ადმინისტრაციასა და მენეჯმენტში (-7.6%), ხოლო ყველაზე დიდი ზრდა - ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და პროგრამირებაში (+54.8%).

2025 წლის აგვისტოდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით, გამოქვეყნდა 23,683 ვაკანსია, რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მხოლოდ 0.3%-ით მეტია. ამ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღოდა გაყიდვებისა და შესყიდვების კატეგორიას, ძირითადად 2025 წლის სექტემბერში ვაკანსიების მკვეთრი ზრდის გამო, ასევე ფინანსებისა და სტატისტიკის კატეგორიას.

გრაფიკი 3: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

- **2025 წლის აგვისტოდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 998 ვაკანსია გამოქვეყნდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამირების კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 43.0%-ით მეტია.

- **2025 წლის აგვისტოდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 4,713 ვაკანსია გამოქვეყნდა ფინანსებისა და სტატისტიკის კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.3%-ით მეტია.

- **2025 წლის აგვისტოდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 6,306 ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვებისა და შესყიდვების კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.1%-ით მეტია.

გრაფიკი 4: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა, კატეგორიების მიხედვით











შრომის ბაზრის ანალიზი: ბევერიჯის მრუდი

შრომის ბაზარი გაფართოვდა III კვ. 2025-ში: სეზონურად შეწონილი ბევერიჯის მრუდის მიხედვით, III კვ. 2025-ში, II კვ. 2025-თან შედარებით, შრომის ბაზრი გაფართოვდა, ვინაიდან სეზონურად შეწონილი ვაკანსიების გამოცხადების დონე გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის დონე შემცირდა.

III კვ. 2025-ში შრომის ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა არ დაფიქსირებულა: III კვ. 2025-ისა და II კვ. 2025-ის მაჩვენებლები ერთსა და იმავე ბევერიჯის მრუდზეა განლაგებული და მრუდის აშკარა შიდა გადაადგილება არ შეინიშნება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შრომის ბაზრის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა აღნიშნულ პერიოდში.

გრაფიკი 5: ბევერიჯის მრუდი*



ბევერიჯის მრუდი პიემსიჯი კვლევითმა ცენტრმა საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით ააგო.

* ბევერიჯის მრუდი ასახავს ვაკანსიების გამოცხადებისა (Y ღერძზე) და უმუშევრობის დონეებს (X ღერძზე) შორის კავშირს. მასზე დაკვირვებით შრომის ბაზრისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. კერძოდ: ა. მრუდის გადაადგილება მარცხნივ (კოორდინატთა სათავისკენ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას ასახავს; ბ. მრუდის გადაადგილება მარჯვნივ (კოორდინატთა სათავიდან გარეთ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებას ასახავს; გ. მრუდის გასწვრივ მარცხნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა ექსპანსიაში გადადის, ხოლო მრუდის გასწვრივ მარჯვნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა რეცესიაში გადადის. ვაკანსიების გამოცხადების დონე და უმუშევრობის დონე შეწონილია სეზონურად.

** ვაკანსიების გამოცხადების დონე გამოითვლება, როგორც ვაკანსიების რაოდენობის შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობისა და ვაკანსიების რაოდენობის ჯამთან, გამრავლებული 100-ზე.

შრომის ბაზრის ინდიკატორები

	2022	2023	2024 I კვ.	2024 II კვ.	2024 III კვ.	2024 IV კვ.	2025 I კვ.	2025 II კვ.	2025 III კვ.
სამუშაო ძალა (ათასი)	1,552	1,596	1,631	1,608	1,633	1,646	1,634	1,594	1,610
დასაქმებულები (ათასი)	1,284	1,335	1,402	1,388	1,408	1,413	1,394	1,366	1,396
დაქირავებით დასაქმებული (ათასი)	872	920	953	936	974	979	958	941	975
თვითდასაქმებული (ათასი)	412	414	448	452	433	434	435	422	418
უმუშევარი (ათასი)	268	262	229	220	226	234	239	228	214
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე(%)	51.9	53.3	55.0	54.5	54.7	54.9	54.8	54.1	54.5
დასაქმების დონე (%)	42.9	44.5	47.3	47.0	47.1	47.1	46.8	46.4	47.3
უმუშევრობის დონე (%)	17.3	16.4	14.0	13.7	13.8	14.2	14.7	14.3	13.3
საშუალო ნომინალური ხელფასი (ლარი)	1,543	1,767	1,943	2,005	2,057	2,218	2,170	2,212	-

წყარო: საქსტატი

ხელფასებისა და გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმდინარე ტენდენციები (კვარტალურად)

გრაფიკი 5: ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, სახელფასო კატეგორიების მიხედვით (კვარტალურად)



გრაფიკი 6: ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, მათი ზრდა და წილი სახელფასო კატეგორიების მიხედვით (კვარტალურად)



გრაფიკი 7: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო რაოდენობა (კვარტალურად)



* 2400+ ლარის მიმღებ პირთა დაფიქსირებული დიდი წილი 2024 წლის მეოთხე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

წყარო: შემოსავლების სამსახური, Jobs.ge

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

მის.: 1 ერეკლე ტატიშვილის ქუჩა, მე-5 სართული, თბილისი, 0108, საქართველო.
ტელ: (+995) 557170660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

მარიამ ჯაში
უმცროსი მკვლევარი
m.jashi@pmcginternational.com

ამირან კვანტალიანი
ეკონომიკის ანალიტიკოსი
(საკონტაქტო პირი)
a.kvantaliani@pmcginternational.com